ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული სამკითხველო
დარბაზით სარგებლობის წესები

სამკითხველო დარბაზი და ფონდი თავისუფლად ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის!

სექტემბერი, 2012

რეგისტრაცია:

გერმანული ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის საჭიროა ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველის ბილეთი (საშვი). მედიის გატანის შემთხვევაში აუცილებელია რეგისტრაციის გავლა გერმანული ბიბლიოთეკის თანამშრომელთან. **მკითხველთა რეგისტრაცია ნებადართულია 19:30 საათამდე!**

ფონდის გამოყენება:

დარბაზის ფონდით, კომპიუტერებით და XEROX–ით სარგებლობა უფასოა!
მკითხველს შეუძლია ადგილზე გაეცნოს ან სახლში გაიტანოს საჭირო მედია. იგი ვალდებულია გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს საბიბლიოთეკო დოკუმენტები, არ გაამრავლოს ისინი და არ გამოიყენოს კომერციული მიზნებისთვის.

მედიის გატანის წესი და ვადები:

მედიების გატანა და დაბრუნება ნებადართულია 19:30 საათამდე! მკითხველს უფლება აქვს ერთ ჯერზე გაიტანოს მაქსიმუმ სამი ეგზემპლარი (მათ შორის მხოლოდ 1 გერმანული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო). წიგნები და ჟურნალ-გაზეთები **ერთი თვით**; გერმანული ენის სახელმძღვანელოები, მხატვრული და სასწავლო წიგნების ხმოვანი დისკები **ორი კვირით;** საგამოცდო მასალები, CD-ROM-ები, DVD და მუსიკალური დისკები **ერთი კვირით.** ნებადართულია ვადის გაგრძელება ყველა მედიაზე, გარდა გერმანული ენის სახელმძღვანელოებისა და იმ წიგნებისა, რომლებზეც დატოვებულია მკითხველის მოთხოვნა. **არ გაიცემა**: საცნობარო ლიტერატურა, გერმანული ენის საგამოცდო ნიმუშები და ჟურნალ-გაზეთების უახლესი (ბოლო) ნომრები.

დასაბრუნებელი ვადის გადაცილება:

სამკითხველო დარბაზიდან გატანილი მედიაერთეულის დაგვიანების შემთხვევაში მკითხველი **უახლოესი ერთი თვის, ხოლო განმეორებით დაგვიანებისას სამი თვის განმავლობაში** ვეღარ ისარგებლებს მედიის სახლში გატანის უფლებით. **სისტემატურად დაგვიანების** შემთხვევაში მკითხველს შეუძლია მხოლოდ ადგილზე გამოიყენოს დარბაზის ფონდი. პირველი დაგვიანებისას საპატიოდ ჩაითვლება მაქსიმუმ სამი დღე.

დაკარგვა-დაზიანება:

გატანილი მედიის დაკარგვის ან დაზიანებისას მკითხველი ვალდებულია შეიძინოს ახალი ეგზემპლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველს ჩამოერთმევა ბიბლიოთეკიდან ნებისმიერი მედიის გატანის უფლება.

XEROX–ით სარგებლობა: მკითხველს უფლება აქვს ერთ ჯერზე ამობეჭდოს ან გადაიღოს მაქსიმუმ 3 (სამი) გვერდი. ნებადართულია მხოლოდ ჰუმბოლდტის დარბაზის ფონდში დაცული იმ წიგნების გადაღება, რომლებიც არ გაიცემა.

გერმანული ბიბლიოთეკის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა მკითხველს აეკრძალოს ბიბლიოთეკით სარგებლობა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
National Parliamentary Library of Georgia

გერმანული სამკითხველო დარბაზი
გოეთეს ინსტიტუტის პარტნიორი
DEUTSCHER LESESAAL
PARTNER DES GOETHE-INSTITUTS